



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1

15 ოქტომბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №315

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „კოლხიდა“-ს (ს/კ.237077435) შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (ს/კ. №26.28.13.074) გაუქმების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 აპრილის №110 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 2013 წლის 4 ოქტომბრის (№12/30569) მოთხოვნა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „კოლხიდა“-ს (ს/კ.237077435) შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (ს/კ. №26.28.13.074) გაუქმების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 აპრილის №110 ბრძანება გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

3. ბრძანება გადაეგზავნოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე